თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ. თელავი 2018 წლის 27 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ნატალია ჯავახია

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღინიშნა, რომ მუნიციპალური სპორტის სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის მიზანია, გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, როგორც სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოდერნიზების კუთხით, ისე ასაკობრივი გუნდების სისტემის მოსაწყობად და ასევე მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტს შორის.

სტრატეგიული დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს განსახორციელებელ ღონისძიებებს და მიზნად ისახავს დროში გაწერილ შედეგებს.

კომისიაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა მომხსენებლის მოსაზრებას.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი